# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ზ. ჩიქვდელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი


შინაარსი: ტფილისი, 16 ივლისი.—ახალი ამბავი.—დაბა და სოფელი: სოფ. წიფა.—ნარკვევი.—ცალკე წერილები: კორრესპონდენცია პარიჟიდგან.—უცხოეთი.—წვრილი ამბები.—დეპეშა.—საკალენდარო ცნობანი.—საჭირო ცნობანი და განცხადებანი.

ფელეტონი: ამირან დარუჯანაშვილი (დასასრული).

ტფილისი, 16 ივლისი

ჩვენ გამოვირკვიეთ Крестьянскій Банкъ-ის ავტორის აზრი და ის დასკვნა გამოვიყვანეთ, რომ იგი ჰცდილობს გასასყიდად დაძრულ მამულებს გზა მისცეს, გლეხ-კაცობამდე მივიდეს და ეს სახსარი საეკონომიო წარმოებისა ხელთ უგდოს საქმიანს კაცსა და პირდაპირს მშრომელსა. ამისათვის საჭიროაო, ამბობს ავტორი,—ან საგლეხ-კაცო ბანკი სახელმწიფოსი გაიმართოს ჩვენში, ან ჩვენს ბანკებში კრედიტი ისე მოეწყოს, რომ გლეხთა სახეირხოდ და გამოსაყენად იქმნეს მამულის სყიდვის საქმეშიაო.

საგლეხ-კაცო ბანკი სახელმწიფოსი და ერთობ კრედიტის მოწყობა გლეხთა სახეირხოდ, რასაკვირველია, ჩვენის ქვეყნისათვისაც სასურველია და სანატრელი. ხოლო იმისათვის, რომ გლეხ-კაცობა მამულის სასყიდლად მიზიდული იქმნას, მარტო კარგად მოწყობილი კრედიტი არ არის საკმაო. კრედიტი ამ შემთხვევაში მარტო სყიდვის სახსარია, მაგრამ სყიდვისათვის მარტო სახსარი არა ჰკმარის: სურვილიც უნდა ამასთან ერთად და ერთსა და იმავე დროს მოქმედობდეს. ჩვენებურს გლეხ-კაცობას, როგორც სხვაგნებურსაც ერთობ, ვერავინ ვერ უკიჟინებს, რომ სურვილი მამულების შეძენისა არა ჰქონდეს. პირიქით გვგონია, რომ იქნება სხვაგან ეს სურვილი ისე ძლიერ არ იყოს, როგორც ჩვენში. ხოლო ჩვენში ამ სურვილის ავარდნას და მის მიერ სანატრელს მოქმედებას ზოგიერთი ფრიად მძიმე და პატივსადები მიზეზი აბრკოლებს. ამ მიზეზზედ თავის ადგილას მოვილაპარაკებთ და ეხლა-კი ვიტყვით, რომ ამ მიზეზის გამო მამულების სყიდვა გლეხთაგან იმოდენად ვერ გახშირდება ჩვენში, როგორც სანატრელი და მოსალოდნელია, თუნდაც საგლეხ-კაცო ბანკი გაიმართოს ჩვენში და ერთობ კრედიტი გლეხთა სახეირხოდ მოეწყოს. რასაკვირველია, არ ითქმის, რომ ამან პატარად არ წაახალისოს გლეხი, მაგრამ იმოდენად წაახალისებს, რამოდენადაც სახსარის ნაკლებობა ეხლა აბრკოლებს, ხოლო სურვილს სყიდვისას-კი სამოქმედოდ ვერას მიუმატებს. იმიტომ-რომ ეს უკანასკნელი დამოკიდებულია სულ სხვა ნაირს მიზეზზედ, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს კრედიტის ავ-კარგიანობასთან.

მაინც და მაინც, რადგანაც საგლეხ-კაცო ბანკის დაარსება ჩვენში ჩვენზედ არ არის დამოკიდებული და ამის გამო იგი მარტო სანატრელ საგნად არის გამოსაყენი, ჩვენ ამის თაობაზედ სიტყვას არ გავაგრძელებთ. სულ სხვაა ამ მხრით მეორე ღონე ავტორისაგან ნაჩვენები. იგი, თუ სულ არა, პირველ შეხედვით მაინც კაცს ეგონება, რომ მთლად ჩვენზეა დამოკიდებული და ამიტომაც ამ მხრით იმ ღონის გამორკვევა საჭიროდ მიგვაჩნია. იგი ღონე, რომელიც ავტორისაგან ნაჩვენებია, იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენებურმა საადგილ-მამულო ბანკებმა კრედიტი ისე მოაწყონ, რომ გლეხ-კაცთა მისაწვდენი იყოს. ამისათვის გზებს არ გვაჩვენებს ავტორი და ამიტომაც ჩვენ თვითონ უნდა მოვიფიქროთ,—რა გზებია იმისთანა, რომ ეგ ღონე ღონედ იქმნას და არა აუსრულებელ ნატვრად.

ჩვენა ვსთქვით, რომ ავტორი გზებს არ გვაჩვენებსო. შესაძლოა, ამაში გაგვამტყუნოს ვინმე, იმიტომ-რომ ავტორი ამის შესახებ თითქო უნუგეშოდ არა გვტოვებს. იგი აცხადებს, რომ მამულები ჩვენში ისყიდება ან მთლად, ან იმოდენა ნაჭრეებად, რომ გლეხს, რომელსაც მარტო თითო-ოროლა დღიური უჭირს სასყიდლად, ხელი არ მიუწვდებაო. არც მოვალენი, არც საადგილ-მამულო ბანკები სრულიადაც არა ჰჩნადვლობენ, რომ მამულები ნაჭერ-ნაჭერ, წვრილ-წვრილად გაჰყიდონ ხოლმეო. ამ სახითვე არავის უნაღვლია, რომ ცალკე გლეხკაცნი ერთად შეეკრიბათ ან ცალკე საზოგადოება შეედგენინებინათ, ან ცალკე ამხანაგობა, რომ მამულები საერთოდ ეყიდნათო. ამას ავტორი ზედ უმატებს, რომ როცა ჩვენებურის ბანკების დაარსების აზრი პირველ წარმოსდგაო, ერთი ნაწილი ჩვენებურის ინტელიგენციისა ბევრს ეცადა, რომ წესდებაში შეეტანათ წესნი გასასყიდ მამულების ნაწილ-ნაწილად გასყიდვისაო; მერეც ამ საგანზედ ბევრი იძახეს და ილაპარაკეს ბეჭდვითა და სიტყვითაო, მაგრამ ეს ამბავი დარჩა ხმად მღაღადებელად უდაბნოშიო. საადგილ-მამულო ბანკების წესდებაში ამ კეთილ-გონიერ წესების თაობაზედ ერთი სიტყვაც არ არის შეტანილი არც მაშინ და არც ეხლაო.

ჩვენა გვგონია, რომ ავტორს ამ მხრით შეცდომით მოსვლია სამდურავი და თუ მართლა ეს ოდესმე უძახნია „ერთს ნაწილს ჩვენის ინტელიგენციისას“, ამ ერთს ნაწილს ინტელიგენციისას არა სცოდნია რაზედ რას ჰლაპარაკობს. რაკი ესეა, აღარ უნდა გვიკვირდეს, რომ ამ ინტელიგენციას თვალიდამ გამოეპარა იგი, რის შეტანასაც წესდებაში ვითომ ჰთხოულობდა და რაც უკვე შეტანილია და დღეს წესდებაში არსებობს, უფრო ვრცლად, უფრო ბევრ წილ უკეთესად, ვიდრე მას ოდესმე უძახნია. ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის წესდების § 21-ში სხვათა შორის სწერია:

„ბანკის საკუთრებად დარჩენილი მამულები უნდა განგებულ და გასყიდულ იქმნან ბანკის გამგეობის მიერ იმ ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულ იქმნება საზოგადო კრებისაგან.“

სჩანს ბანკს უკვე გამოთხოვილი აქვს უფლება ისე ჰყიდოს მამულები, როგორც ჰსურს და საჭიროება მოითხოვს: ამაში ხელის დამშლელი არავინა ჰყავს და არავითარის წინად მოსაზრებულის წესით ხელ-შეკრული არ არის. ესე ფართოდ და სამზღვარ-დაუდებლად გამოთხოვილი უფლება არა სჯობია! ის არა სჯობია, რომ ყოველ ცალკე შემთხვევაში ბანკს ნება, ჰქონდეს იმ ცალკე შემთხვევის ბუნებისა და საჭიროებისამებრ იმოქმედოს, ვიდრე ეს რთული საქმე დაუქვემდებაროს ერთს ზოგადს წესსა, რომელიც, ადამიანის ბუნებურ უღონობის გამო, ვერ შემძლებელია მთელი მრავალ-გვარობა ცხოვრების მაგალითთა და ცალკე შემთხვევათა წინად დაინახოს და ერთს ფარგალში მოაქციოს. ხსენებულის მუხლის ძალით-კი ბანკს ნება აქვს თვითვეულს ცალკე შემთხვევას და მაგალითს ისე მოექცეს, როგორც გარემოება და საჭიროება ითხოვს, როგორც იმ ცალკე შემთხვევას და მაგალითს მოუხდება. ამ კანონის ძალით ნაჭერ-ნაჭერ და წვრილ-წვრილადაც გაყიდვას მამულისას დაუბრკოლებელი გზა აქვს გახსნილი ბანკის წესდებითა და ის „ერთი ნაწილი ჩვენის ინტელიგენციისა“ არცკი გარჯილა ჩაეხედნა წესდებაში, რომ შეეტყო მის სასურველს საგანს რა ადგილი მისცემია ჩვენებურ ბანკებისაგან და ამის მაგიერ, გამოდის და „Новое Обозрѣніе“-ს შემწეობით იძახის: ჩვენი კეთილ-გონიერი რჩევა დარჩა ხმად მღაღადებელად უდაბნოშიო.

იქნება გვითხრან, რომ ეგ წესი უქმად არის წესდებაში და საზოგადო კრების ინსტრუქციისაგან ან თავ-მინებებულია, ან შეცვლილიო. სულაც არა. აი იგი ინსტრუქცია.

# ფელეტონი

## ამირან დარუჯანაშვილი

(ქართული ლეგენდა)

(დასასრული*)

### II

წავიდა ამირანი მზეთ-უნახავთან თავის რაზმით, წაიღო ერთი ბულული თივა და ერთი ცხვარი; რომ მიახლოვდა კარებზე, გამოცვივდნენ მგელი და ვირი. ამირანმა მგელს ცხვარი მისცა და ვირს თივა. დაიწყო სიარული და ამირანი შებრძანდა იმ ქალთან. ეს ქალი სწრაფად გამოვიდა და კარის ყარაულებს გაუწყრა: რად შემოუშვით ეს კაციო.

— რა ვქნათ, შენ არას გვაჭმევდი და აი მაგან რა მოგვიტანაო,—უპასუხეს მგელმა და ვირმა.

ამირანმა ქალს უთხრა, წამომყევი სახლშიო.

ქალიც დაჰყვა: მხოლოდ იმდენი-კი დამაცალე, რომ ჰურჭელი დავრეცხო და პირ-ქვე დავამხოვო. ამ ქალმა სულ ყველა ჰურჭელი დაამხო პირ-ქვე, და ერთი თეფში-კი რამდენსაც დაამხობდა—იმდენი გადაბრუნდებოდა. გაჯავრებულმა ამირანმა დაჰკრა ფეხი და ეს თეფში სულ ჩაამტვრია. ერთმა თეფშის ნატეხმა გაამტვრია ფანჯარა, აფარდა მაღლა და გასწია ზეცაში ისე ჩქარად, რომ პატარა ხანს უკან აღარც-კი სჩანდა. ეს თეფშის ნატეხი აფრინდა ზეცას ამ მზეთ-უნახავის დედ-მამასთან. დედ-მამამ რაკი დაინახეს ამ თეფშის ნატეხი, მაშინვე მიჰხვდნენ, რომ ჩვენი ქალი ვიღასაც მიჰყავსო. საჩქაროდ შეჰყარეს თავისი ჯარი-ჯამაათი და გამოსწიეს. ამირანმა მზეთ-უნახავი ქალი რაშზე შემოისვა, მოვიდა თავის ყმებ დევებთან და შესძახა:

— ოჯახის შვილებო, კარზე გამოდითო!

დევებმა უთხრეს ერთს რძალს:

— გაიხედე გარედ და გაუცინე,—თუ ერთი კბილი ჭიქისა აქვს, დარუჯანაანთი იქმნება ვინმე, თუ არა და, გამოვალთ და შევჭამთო.

დევის ცოლი გამოვიდა და გაუცინა ამირანს. ამირანმა შესძახა:

რას მიცინი დევის ცოლო,
რას მიჩვენებ თეთრსა კბილსა,
უსუპის ვარ, პეტრე მქვიან,
დავდივარ და ვქებ ვირსა;
ხან დავკარგამ, ხან ვიპოვნი,
ჩემი ბედი ასე სჭრისა.

დევის ცოლი შევიდა და უთხრა: ჩვენ რომ ვირი შევჭამეთ, იმისი პატრონი მოსულა და ვირს თხოულობსო. დევები გამოცვივდნენ გარედ, რომ ისიც შეეჭამათ, მაგრამ ამირანმა ერთი ერთმანერთზე მიაწყ-მოაწყვიტა და სულ ამოჟლიტა. შემდეგ ამირანი შევიდა დევების სახლში და დაბინავდა თავისის მზეთ-უნახავის ქალით. ამასობაში ამ ქალის მამა თავისის ჯარით თავს წამოადგა და დასცა ბაირაღი სახლის წინ. ამირანმა უთხრა თავის ბიძებს: ეხლა მაინც გადით, თითო კაცის მოკვლაში მაინც შემეწიენითო. ბიძებმა დაუჯერეს. ერთმა ბიძამ სთქვა: მე რომ მოვკვდე, იმითი გაიგებთ, რომ მაღლა ფრინველი აირევაო; მეორემ უთხრა: მე რომ მოვკვდე, ძირს ჭიანჭველა აირევაო. პატარა ხანს უკან ნახეს, რომ ჭიანჭველებიც და ფრინველებიც აირივნენ. ამირანმა სთქვა: ისევ მე გავიდე, თორემ ისინი ვერას მიშველიანო. ამირანმა მზეთ-უნახავი ქალი ერთს მაღალს გორაზე დასვა და უთხრა:—აქედამ უყურე ომსაო. ახსენა ღმერთი, შეჯდა თავის რაშზედა, შეერია ჯარში და როგორც თვითონ, ისე ცხენი, ჟლეტდა ჯარსა. ისე ამოხოცეს ეს ჯარი, რომ ერთიც აღარ დარჩა; შემდეგ ამირანი მიეჭრა თვითონ მზეთ-უნახავის მამას, რომელსაც თურმე თავზე სპილოს ძვალი ეხურა. ამირანი რამდენსაც დაჰკრავდა ხმალს თავში, იმდენს ცეცხლსა ჰყრიდა. ბევრი ეწვალა ამირანი, მაგრამ ამ ხელმწიფეს ვერა უყო-რა.

ამირანს დაუძახა მზეთ-უნახავმა ქალმა:

ამირან დედაბრის შვილო,
კარგო არ იცი ომისა,
ზედვით რასა სცემ სპილოსა,
ქვევით შემოჰკარ წვეროსა,
მიწვეს და მიიძინოსა!

მამამ დაუძახა თავის ქალსა:

დახედე ურცხვსა ქალსა,
კურო არჩია მამასა.
რისთვის გაგზარდა დედამა,
რისთვის გეტყოდა ნანასა?!

ქალმა დაუძახა:

კარებს უკან მიმაგდებდნენ,
ძაძა მეტყოდა ნანასა!

ამირანმა ამ დროს შემოჰკრა ხმალი და გააგდებინა თავი მზეთ-უნახავ ქალის მამას დალალულ-დაქანცული ამირანი წამოვიდა ნაომარ ადგილიდამ და ამ დროს მკვდრებიდგან სისხლში გათხვრილი კაცი წამოვარდა. ამირანმა დასჭყივლა და იქვე დაიჭირა. ამირანს ეს კაცი უნდოდა მოეკლა, მაგრამ შეეცოდა და აღარ მოკლა.

როდესაც ამირანი წამოვიდა თავის მზედ-უნახავისაკენ, მიეპარა ის კაცი, ჩაჰკრა ამირანს ფეხებში ხანჯალი და მოჰკლა. ამის მნახველმა მზეთ-უნახავმა დაიწყო ტირილი და ვაება. ეს ამოდენა ჯარი დამიხოცა, მამა მომიკლა და თითონ ამირანიც მომიკლეს, რაღა წყალში ჩავარდეო.

მაშინ უფალმა გამოგზავნა ყორანი, რომ გაეგო რა ამბავი მოხდა; ყორანი ჩამოვიდა, გაძღა ლეშით, ავიდა მაღლა და მოახსენა: გუთანი უბიათო.

მეორედ უფალმა ყვავი გამოგზავნა. ისიც აქ ლეშით გაძღა და უფალს როგორც ყორანმა, ყვავმაც ისე აუტანა ამბავი.

მესამედ მტრედი გამოგზავნა უფალმა. მტრედი ჩამოფრინდა, დაჯდა ერთს ალაგას, დაინახა, რომ მრავალი ხალხი იყო დახოცილი და ერთი მშვენიერი ქალიც ერთს ჭაბუკს დასტიროდა,—ფეხები სისხლში მოისვარა, აფრინდა

*) იხ. „ივერია“ № 145.

მეშვიდე მუხლში რას ამბობს ამ საგანზედ:

„უმთავრესს საზრუნველ საგნად ბანკების გამგეობას ის უნდა ჰქონდეს, რომ რაც შეიძლება ჩქარა და ნაკლების ზარალით გაჰყიდოს ბანკის საკუთრებად დარჩენილი მამულები. ამასთან გამგეობას ნება აქვს: ყოველ გვარ პირობით, კანონით არა აკრძალულითა, შეეკრას ცალკე კაცთა, საზოგადოებათა, ხაზინასა; მისცეს და ჩამოართვას გასყიდვის თაობაზედ ყოველ გვარი ხელ-შეკრულობა და აგრეთვე ნასყიდობის სიგელნი იმ პირობებით, რასაც თვით გამგეობა საჭიროდ სცნობს ბანკის სასარგებლოდ, და სხვანი.

მაშასადამე, ამ მხრითაც იგი ეგრედ წოდებული ავტორისაგან „ერთი ნაწილი ჩვენის ინტელიგენციისა“ თავს ვერ იმართლებს, რომ დღეს ასე უმიზეზოდ და უსაბუთოდ ჰთარეშობს ჩვენს ბანკებზედა. ჩვენ მარტო ამას ვწუხვართ და ვკვირობთ, რომ ამ «ერთს ნაწილს ინტელიგენციისას», რომელსაც, უეჭველია, ამ საქმისათვის გული სტკივა, როგორ არ მიუღია შრომა და საჭიროდ არ დაუნახავს თავის გულის ტკივილის საგანი ეძია და ეკვლია იმოდენად მაინც, რომ სამართლიანს და ამ შემთხვევაში ადვილად მოსასვლელს ცნობისმოყვარეობას მართალი გმაყოფილება მისცემოდა ასე თუ ისე.

გვეტყვიან,—ეგ განა ჩვენ-კი არ ვიცოდითო, მაგრამ რის გამოსაყენია ეგ წესი, რომელიც ერთს წყობას გასასყიდ მამულებისას შეეხება და არა მთელს მის დიდს კრებულსაო. მართალია,—იგი წესი შეეხება მარტო იმ მამულებს, რომელიც ბანკსა ჰრჩება საკუთრებად და არა მთელს რიცხვს გასასყიდად გამოცხადებულ მამულებისასა, რომელიც ბანკს არა ჰრჩება და საჯარო ვაჭრობით უკვე იყიდება. ამას თავისი პატივ-სადები მიზეზი აქვს და ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

## ახალი ამბავი

*** ქალაქის გამგეობამ დიდი ხანია მოახდინა სავალდებულო განკარგულება, რომლის ძალითაც ტფილისის მოედნებზე შუა-დღემდის მარტო მომხმარებელთა უნდა ჰქონდეთ ნება იყიდონ პირ-და-პირ სოფლელებისაგან სხვა-და-სხვა ხორაგეულობა და სოფლის ნაწარმოები. ჩარჩებს-კი მხოლოდ შუა-დღის უკან შეუძლიანთ იყიდონ იგივე ნაწარმოები. ესეთი განკარგულება მეტად ჩინებული რამ იქნებოდა როგორც სოფლელთა, ისე მომხმარებელთათვის, რომ გამგეობას სისრულეში მოეყვანა და მკვდრად-დაბადებულ განკარგულებად არ დარჩენილიყო. ტფილელნი მომხმარებელნი შემოგვჩივიან, რომ აქაური ჩარჩები დილა ადრიან შემოეხვევიან ხოლმე სოფლელებსა, ჰყიდულობენ თითქმის ერთიან, რაც-კი ჩამოტანილია მეიდნებზე და მერე მომხმარებლებზე ერთი-ორად ჰყიდიანო.

*** ამ თთვის 9-ს, ნაშუა-დღევის 7-ს საათზე, სოღანლუღის სადგურის მახლობლად, ბორჩალოს გზაზედ, ხუთს შეიარაღებულს და ცხენოსანს ავაზაკს თათარს გაუცარცვავთ ტფილისს მომავალნი მეფურგუნე მალაკნები: ივანე პავლოვი, მარკ ზალიკინი, აბრამ პავ[illegible]ლოვ სალინოვი, და წაურთმევიათ მათთვის და ორ პასსაჟირისათვის 300 მანათამდე ფული, ტანისამოსი, ვერცხლის ქამარი და საათები. ამ დროს ამ ცარცვა-გლეჯას თავს წააწყდა „მეპოვოსკე“ კერნიჩი; კერნიჩს ცხენი დაუფრთხა და პოვოზკიანად ცხენმა გაიტაცა. თურმე ავაზაკებმა იმის შიშით, რომ კერნიჩმა არავის შეატყობინოს ჩვენი მოქმედებაო, მის ცხენს თოფი მოარტყეს და თითონ კერნიჩსაც წაართვეს, რაც-კი რამ ებადა.

იმავე გზაზედ, ტფილისის და ბორჩალოს მაზრების სამზღვარზე, სამი საათის შემდეგ გაცარცვეს ტფილისს მომავალი მეურმეები, გეუჩარ-არხელი თათრები. ორის საათის შემდეგ კიდევ ორი მეურმე ჭანდარელი თათარი გაცარცვეს.

როგორც გაცარცულთა ჩვენებიდამ სჩანს, ყოველივე ესე ჩაუდენიათ ერთსა-და იმავე ავაზაკთ. ბ-ნ მაზრის უფროსმა ავაზაკების დასაჭერად გაგზავნა თვისი თანაშემწე მელიქ-ადამოვი და დისტანციის უფროსი ნ. გაბარაშვილი. ამათ, რადგანაც წვიმიანი დღე იყო, ადვილად იპოვნეს ავაზაკთა კვალი და მივიდნენ სოფ. სარვანს. ავაზაკები, რომელნიც ყოფილან ბორჩალოელი თათრები სარვანიდამ, ალლარ-ალაი-ალა-ბაიბეგ-ოღლი, აბასუსუპ-ოღლი და-ბეგლარის მცხოვრებნი ნადირ-ნაბი-ოღლი, ალლარსამად-ალა, მაჰმად-ასან-ალა-ოღლი სულთანოვი, ნასიბ-ალი-ოღლი და მაჰმად-მოჰლლა-ურახმან-ოღლი უკვე დაატუსაღეს; ავაზაკებს ვერ უპოვნეს მგზავრთაგან წართმეული ნივთები, მაგრამ, როცა იგინი მაზრის უფროსმა გაურია სხვა თათრებში, გაცარცულებმა იცნეს ზემოდ დასახელებულნი ავაზაკნი.

*** ამ თთვის 15-სა და 16-ს სოფ. ძირულაში იარმუკობა ყოფილა გამართული და, როგორც გვიამბეს, ბევრი ხალხი მიდიოდა თურმე იქეთკენა და განსაკუთრებით ზემო იმერეთის ახლო-მახლო სოფლებითგან. ბევრი მიუტანიათ ამ იარმუკობაზედ ჩვენის ქვეყნის შინ-მრეწველებს თავიანთი ხელის ნაწარმოებნი.

*** ზესტაფონიდამ (ყვირილიდამ) გვწერენ: ხალხი ძრიელ შეშინებულია იმ ჭირის გაჩენის გამო, რომელსაც „ციმბირის წყლულს“ ეძახიან. თუმცა ეს ასეა და ისიც ვიცით, რომ ეს ჭირი ავადმყოფ საქონლისაგან ადამიანსაც გადაედება ხოლმე, მაგრამ დღესაც მაინც ბევრი ავადმყოფი საქონელი იკვლება ზესტაფონში. ვაჭრები ამით სარგებლობენ, გლეხებისაგან ავადმყოფს საქონელს იაფად ყიდულობენ, ჩამოჰყავთ აქ და ასაღებენო.

*** სურამიდამ გვწერენ, რომ იქ ამ უკანასკნელ დროს საშინლად დიდი უთანხმოება და ჰოარაობა სუფევს თურმე იჯარადართა და მუშათა შორის. თითქმის დღე არ გავა, რომ სასამართლოს კარებს არ მოადგნენ მუშები და არ უჩივოდნენ რომელსამე იჯარადარს. რადგანაც ხშირად იჯარადარნი ისე იჭერენ საქმეს, რომ უბრალო მუშები თუ გამტყუნდებიან, თორემ მოგებით ვერას მოიგებენ, ამიტომ იშვიათი არ არის აქა, რომ შურისძიება მუშებს ჩაადენინებს ხოლმე ისეთს საქციელს, რომელიც ორივე მხრისათვის საზარალო და უსიამოვნოა. აი თურმე ამ დღეებში რა საშინელს ხიფათს გადაჰრჩენია ერთი იჯარადარი. ბერძენი მუშები ჰყოლია იმას შეპირებული წიფას გვირაბზე. ბერძნებმა თურმე შეასრულეს პირობა და მოითხოვეს ხელ-შეკრულობის ძალით თავიანთი ხვედრი ფული; იჯარადარმა დიდ ხანს ატარა მუშები. ხან უთხრა, არა მაქვს ხელად ფულიო, ხან დრო დაუნიშნა და მაინც არ მისცა. ბერძნებმა ითმინეს-ითმინეს, ბოლოს უთვალ-თვალეს და ჩაიგდეს ხელში სურამს გარედ. დაუწყეს ჯერ ხვეწნა—მოგვეცი ჩვენი ალალად ნამუშავარიო და ხვეწნამ რო არ გასჭრა, მუქარა დაუწყეს. მუქარაზე იჯარადარმა უთხრა: სასამართლოში მიჩივლეთო. ბერძნებმა ამაზე უარი განაცხადეს: ჩვენ უბრალო ხალხნი ვართ, ჩვენ სასამართლოში ვერ დავიცავთ საქმესა და არც-არა საჩივლელი გვაქვს, ამიტომ-რომ ჩვენი საქმე ნაღდია და წმინდაო. გვიშრომნია და მოგვეცი ჩვენი ქირა. არ მოგვცემ და აი, ეს დანა, ეხლავ ყელს გამოგჭრით, რადგან მეტი სახსარი არა გვაქვსო: შიმშილით დახოცვას ციხეში ყოფნა გვირჩევნიაო. ამოუღიათ დანა და გულზე მიუბჯენიათ იჯარადარისათვის. მაშინ-კი ეს უკანასკნელი დათანხმებულა: გაგისწორდებით ეხლავეო. ამოუღია ქისა და ყველასათვის თავ-თავიანთ ხვედრი ფული დაურიგებია. კიდევ კარგი, რომ თანა ჰქონია ფული, თორემ უბედურებას ვერას გზით ვერ გასცდებოდა, როგორც თურმე ბერძენი მუშები ამბობენ.

*** კახეთიდამ გვატყობინებენ, რომ წარსულს კვირებში დიდმა კალიამ გადმოიარა შიქარიდამ გურჯაანზედ და გაემგზავრა ზემო-კახეთისაკენო. მართალია, კალია პურებსა და ქერებს ვერას დააკლებს, მაგრამ ხალხი შიშობს, რომ ვენახები, ფეტვები და სიმინდები არ წაგვიხდინოსო.

*** გორის მაზრიდამ იწერებიან, რომ სოფ. ქვიშხეთშიაც ისეთივე უთანხმოება ჰსუფევს იჯარადართა და მუშათა შორის, როგორც სურამს და წიფაში არის, ჩვენის კორრესპონდენტის სიტყვით. უმთავრესი მიზეზი ამ უთანხმოებისა იმაში უნდა ვეძებოთო, რომ იჯარადრობას შეძლებულ კაცებთან ერთად ეტანებიან ხშირად ისეთნი პირნიც, რომელთაც ჯიბეში გროში ფული არ მოეპოვებათ და თავიანთი იჯარა პირ-და-პირ იმაზედა აქვთ აშენებული, რომ ისარგებლონ მუშების უპატრონობით: გააკეთებინონ საიჯარო საქმე, აიღონ ფული გვირაბის მკეთებელ გამგეობიდამ და მუშებს კი არა მისცენ-რაო. მაინც ზოგმა იჯარადარმა ისე იაფად იკისრა გასაკეთებელი საქმე, რომ თუ პირ-ნათლად გაუსწორდება მუშებს, მაშინ თვითონ არამც თუ მოგება არა დაჰრჩება-რა, პირ-იქით უნდა კიდევ თავისი დააყაროს და ძალიანაც იზარალოს.

ამასაც თავისი საბუთი აქვს. რომელსამე საიჯარო საქმეს გამგეობა გადასცემს ხოლმე მართლა შეძლებულს კაცს ამ უკანასკნელისათვის გამოსარჩომ პირობით. ეს შეძლებული კაცი გადასცემს თავისზე ნაკლებ შეძლებულს, რომელიც ნაკლებ მოგებასა ჰყაბულობს. ახლა ეს გადასცემს სხვასა და ამ სახით ყველა შეპირებულნი რაიმესა ჰრჩებიან ხოლმე იჯარას ხელ-გაუნძრევლად, ვიდრე ეს საქმე ისე იაფად არ გადიქცევა, რომ სულ ბოლო იჯარადარს გამორჩენა აღარა დაჰრჩება-რა ხოლმე. მაშინ ეს იჯარადარი ჰგლატობს მუშებსა და მხოლოდ ასეთის საქციელით უზარალოდ გამოდის გვირაბის საქმეშიო.

ზოგჯერ ასეთი გადასვლ-გადმოსვლა იჯარისა ხუთჯერა და ექვსჯერ მოხდება ხოლმე ერთსა და იმავე საქმეში. მაგალითადაო, ამბობს კორრესპონდენტი, ერთი საიჯარადრო საქმე აიღო ინჟენერმა რენ—მა, ამან გადასცა კ—მინს, უკანასკნელმა—სკ—ლს, ამან—ნ—შვილს, ნ—შვილმა—მეგრელს, მეგრელმა—გურულს და მხოლოდ ეს გურული შეუდგა ინჟენერის აღებულ საქმის გაკეთებას მუშების

---

და ღმერთს მოახსენა:—მრავალი ხალხი დახოცილი ჰყრია, ერთ მშვენიერს უსამართლოდ მოკლულს ფალავანს ერთი მზეთ-უნახავი ქალი დასტირისო, და ნიშნად თავისი გასისხლიანებული ფეხები უჩვენა.

ღმერთი გაუჯავრდა ყორანს და ყვავსა, რომ მოატყუეს და ესროლა მუგუზალი; ყორანი ძრიელ გაშავდა, რადგანაც იმას უფრო ძრიელ მოხვდა და ყვავი ძრიელ ვერ გაშავდა, რადგანაც ძრიელ ვერ მოჰხვდა; თურმე უწინ-კი ყორანიც და ყვავიც ორთავენი თეთრები ყოფილან.

უფალმა მტრედი დალოცა და უბრძანა: მკვდრებსაც დაეკვლოდე და ცოცხალსაც ემშევოდეო. უფალმა შეიწყნარა ვედრება მზეთ უნახავის ქალისა და გამოგზავნა თაგვი. თაგვი მოვიდა და ამირანის სისხლს დაუწყო წოვა; ქალმა გაიხადა ქოში, ესროლა თაგვს და მოჰკლა. თაგვის დედა გამოვარდა და დაუწყო ჩხუბი ქალსა, მერე წავიდა, მოგლიჯა ერთი რაღაც ბალახი, მიუსვ-მოუსვა მკვდარს თაგვს და გააცოცხლა.

შემდეგ გაიგდო წინ ცემით და ეუბნებოდა, რომ აღარ გამოხვიდე სოროდგან დედის დაუკითხავადაო.

მზეთ-უნახავმაც იმისთანა ბალახი მოჰგლიჯა, მიუსვ-მოუსვა ამირანს და გააცოცხლა; შემდეგ ამირანმა ბიძებიც დააცოცხლა. ბიძები, ამირანი და მზეთ-უნახავი ქალი წამოვიდნენ სახლში.

რამდენისამე ხნის შემდეგ ამირანი ბიძებით სანადიროდ წავიდა. გზაში ერთი მკვდარი მიჰქონდათ მარხილით, ცხრა უღელი კამეჩი ებათ და მაინც ძლივსა სძრავდნენ. მკვდარს მარხილიდგან მკლავი გადმოვარდნოდა და მიწას გუთანივითა სთხრიდა; მწუხარე დედა მკვდარს ცხენით მისდევდა და ხელში მათრახი ეჭირა. დაინახა ამირანი და უთხრა:

— დედა-შვილობას, ეგ მკლავი გულზე დაადეო.

ამირანი მივიდა, უნდოდა მკლავი გულზე დაედო, მაგრამ საძრაობაც ვერ უყო. დედა მკვდრისა გაჯავრდა, გადმოსწვდა ცხენიდამ მკვდარს, მათრახის ტარით მკლავი გულზე შეუდო და ამირანს უთხრა:

— დედა-შვილობა რომ არ მეთქვა, ამ მათრახით გაგაჭრელებდიო.

ამირანი დალონდა და დაუწყო ვედრება თავის ნათლიას—უფალსა. ამირანს გამოეცხადა უფალი. ამირანმა სთხოვა, რომ მომეცი ღონეო, და აგრეთვე შესჩივლა, რომ ერთის მკვდრის მკლავი ვერ ავწიეო. უფალმა მისცა ამირანს კიდევ იმდენი ღონე, რამდენიც იმ ცხრა უღელს კამეჩს ჰქონდათ. გახარებულმა ამირანმა გამოსწია და რაც გზაში ხე ხვდებოდა, სულ აქედ-იქით ისვროდა. მაშინ უფალმა სთქვა: ეს ამოდენა ღონე რომ მივეცი, სულ ხალხს გამიწყვეტავსო და გამოეცხადა ამირანს სხვა კაცად. ამირანმა უთხრა უფალს, —მოდი დამეჭიდეო. უფალი და ამირანი დაიჭიდნენ და როგორც უნდა წაექცია ამირანს, უფალი გაეშვებინა და უთხრა:

— აი ამ ყავარჯენს მიწაში დავარჭობ და ბიჭობა ის არის, ვინც ამ ყავარჯენს ამოჰგლეჯავსო; უფალმა ყავარჯენი დაარჭო მიწაში, ამირანი მივიდა და რამდენიც ამოსწია ყავარჯენი, იმდენი უფრო მიწაში ჩავიდა. მაშინ უფალმა გადასწერა პირ-ჯვარი და ამირანი ჯაჭვით დაება და ზედაც დიდი უზარ-მაზარი მთა გადაეფარა.

III

მას აქედ ამირანის პატარა ფინია მთელი თორმეტი თთვე განუწყვეტლივ ჰლოკავს ჯაჭვს, რომლითაც არის დაბმული ამირანი; ფინიას ლოკვით ისრე გაილევა ხოლმე ჯაჭვი, რომ ერთი რომ გაჰკრას ამირანმა, გაწყდება, მაგრამ დიდ-ხუთშაბათს მჭედლები კვერს რო დაჰკვრენ სამჯერ, იქ ის ჯაჭვი ისევ მთელდება; ასე წვალობს მთელი ჟამი საწყალი ფინიაც; და თუ რომ არც ერთმა მჭედელმა არ დაჰკრა კვერი, ამირანი იმ ჯაჭვს გასწყვეტს, გორას იქით გადაიგდებს და სულ ყველა მჭედლებს გასწყვეტავს. შვიდს წელიწადში ერთხელ ამირანს კარი ეღება.

ერთხელ პატარა მწყემსს ცხვარი ჰყოლოდა შეფენილი იმ გორაზე, საცა ამირანი არის დაბმული; დაენახა, რომ ამ გორას ფერდოს განივრად პირი დაეღო; მწყემსს შიგ შეუხედნია და დაუნახავს დიდი უზარ-მაზარი ვაჟკაცი, რომელსაც ცხრილის ოდენა თვალები ჰქონდა თურმე. ეს იყო თვითონ ამირანი. პატარა ბიჭს შეშინებოდა და გამოქცევა დაეპირებინა. ამირანმა დაუძახა: აქ ხვრელში შემოდი, ნუ გეშინიანო. ამირანმა დაუყვავა ბავშვს და უთხრა, მეც ქრისტიანი ვარო და ნურაფრისა გეშინიანო. ამირანმა გამოართვა მწყემსს პური, რომელიც იმას გუდაში ედვა, მოუჭირა ხელი და სამი წვეთი სისხლი გამოადინა; მერე თავის პურს მოუჭირა ხელი, რძე გამოადინა და სთქვა:

— პური ამისთანა უნდა გიცხვებოდეთო. ამირანმა დაანახვა ბავშვს ხმალი და უთხრა,—მომაწოდეო! მწყემსმა ხმალი ვერც-კი შეანძრია, ისე დიდი იყო. შემდეგ ამირანმა მწყემსი გააწვინა, ხელები ხმალს მოაკიდებინა და თვითონ ფეხებს გამოსწია; ხმალის სიმძიმეს მწყემსის წელმა ვერ გაუძლო, დაიყვირა: ვაიმე წელიო! და ხმალს ხელები მოაშორა. შემდეგ ამირანმა მწყემსი ლვედზე გაგზავნა, რომ ლვედით მოეთრია ხმალი და თანაც დაარიგა, რომ გზაზედ არავისათვის არ გაეცა ხმა, რაც უნდა ეკითხნათ.

მწყემსი წავიდა სახლში, აიკიდა ლვედი და წამოიღო. მწყემსს ერთი ქალი წყევლით გამოეკიდა და ჩააცივდა: სად მიგაქვს ეგ ლვედიო? ბიჭი, რომ გაბეზრდა, უთხრა: შენ რა გინდა, საცა მიმაქვსო!

მწყემსმა მიიტანა ეს ლვედი გორასთან, ბევრი უარა ამ გორას გარს და შესავალი-კი ველარ უპოვნა, რადგანაც შესავალი გზა დაიკეტა იმის გამო, რომ იმ დედა-კაცმა აცდინა მწყემსი და დაალაპარაკა.

ახლა თურმე ამირანი როდისმე რომ წამოდგება, მჭედლებისა და ქალების სინსილას გააწყობსო.

შემწეობით და ისე იაფად, რომ ამ იჯარის თავდაპირველ ფასებთან შედარებით დასანახავადაც არა ღირსო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. წიფა (შორაპნის მაზრა), 13 ივლისს. მართალია წიფას ასეთი შენობები თავის დღეში არ ეღირსებოდა, როგორც ეხლა აქ ააშენეს გვირაბის მკეთებლთ, მაგრამ მაინც თითონ სოფელი, მგონი, თავის კეთილ-დღეობისათვის უწინდელ ყოფა-ცხოვრებას და ღარიბ ქოხ-მახებს არჩევდა ეხლანდელს გაწყობილ შენობებსა, რომელთაგანაც ზოგი საქარხნოა, ზოგი სასტუმრო, ზოგი საავადმყოფო და სხვანი. რად უნდა არჩევდნენო, გაიოცებთ. სულ უბრალო მიზეზისა გამო: წინად ყველაფერი, რაც სოფელ-შუა, ან ახლო-მახლო იყო—ქოხი გინდათ, საცოდავი ვენახი, ერთი ბეწვა ქარხანა, სადაც თითონვე აკეთებდნენ ქვევრებს პატარა მიგდებულ მამულის ნაგლეჯებზე—ესენი ყოველივე თითონ წიფას ხელშივე იყო. ეხლა-კი ჩამოთვლილ მამულის ნაგლეჯების, ქოხ-მახების, ვენახების და საცოდავ ქარხნის მაგიერ წამოშენდა ბევრი კაი რამ, რასაც ზედაც არ ასუნებინებენ წიფელებსა. „შენსას ჩემი მირჩევნიაო“, ნათქვამია და ამიტომაც წიფელები მხოლოდ ნაღვლიანის თვალით უყურებენ იმ ამბავსა, რომ წიფა, უწინდელ მივარდნილ სოფლის მაგიერ, ეხლა გადაიქცა ისეთ ადგილად, სადაც ცხოვრება და შრომა დუღს და გადმოდის, სადაც იმოდენა ხალხი მიაწყდა, რომ თითო ერთი ბეწო ბოსლებში ქირას იძლევიან თთვეში ხუთს მანათსა და საცოდავს ოთახში—თუმნიდამ 15 მანათამდე. ხომ მოგეხსენებათ ქართული ანდაზა—„ქარისა არც მოტანილი მინდა და არც გატანილიო“. როგორც ადვილად მოდის ფული, ისე ადვილადვე იფლანგება, ხოლო წიფელისათვის განსხვავება იმაშია, რომ უწინ იცოდა ფულის ყადრი, ეხლა-კი ადვილად ნაშოვნს ჰხარჯავს ღვინოზე და უმეტესად არაყზე, ებადება ახალი და მავნე მოთხოვნილებები, ახალი ჩვეულებები, რომელიც მომაკვდინებელია მის გარჯილობისა და შრომის-მოყვარეობისა. თუ-კი გლეხს გამოაცალით ხელიდამ გარჯილობასა და შრომის-მოყვარეობას, რაღა უნდა შეჰრჩეს პატივ-საცემი და მოსაწონი?

ამას კარგად ჰგრძნობს უკეთესი ნაწილი მცხოვრებთა და დიდს დარდშიაც არის ჩავარდნილი, მაგრამ ჯერაც ვერ მოუგვნია მთელს სოფელსა, რა ღონე იღონოს, რომ თავი მაგრად შეინახოს.

აბა ახლა შეჰხედეთ ლაზარე ზანცაძეს. იმისი ორ სართულიანი სახლი, წინადამ ვენახით მორთული, არწივივით ამაყად გადაჰყურებდა მაღლიდამ მშვენიერს სურათებს მიდამოსას. ზანცაძეს სახლს შეაჭრეს ადგილი, რომ ზედ გზა გაეტარებინათ. ამ გზას რომ სთხრიდნენ, ქვასა და მიწას-კი არ გაეზიდებოდნენ აქედამ, არამედ ჰყრიდნენ ფერდობზე, სადაც გაშენებულია ამ გლეხის ვენახი. თითქმის ნახევარი ვენახი ამოავსეს მიწით და ქვით. აი საშინელი ზარალი, რომელსაც არავინ არა ასრულებს, რომ აუნაზღაუროს გლეხ-კაცსა. ნუ თუ ასეთს მსხვერპლსა თხოულობს „ახალი იარაღი“ ზანცაძისაგან? დიახ, ამ ახალს იარაღს ჰქონოდა თავისი გზა, ამას რას უშლიდა ზანცაძეს ვენახი? ისიც ყოფილიყო თავისთვის. მაგრამ აქა მუშაობდა ცხადად უადგილო სისასტიკე მუშათა ზედამხედველებისა და ცალკე ზანცაძის უღონობა, უცოდინარობა...

კორტოხელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამ უკანასკნელ ხანს უფრო და უფრო რწმუნდებიან რუსეთში, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის ეკონომიურს ყოფა-ცხოვრებას. შუა-რუსეთში აგერ ეს 10—15 წელიწადია, რაც ერობამ დაიწყო თვალ-ყურის დევნა და შესწავლა ხალხის ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებისა, მაგრამ რუსეთის განაპირებულ ქვეყნებს-კი თითქმის ჯერ არა ჰღირსებიათ იმ გვარი დაწესებულება, რომელიც სისტემატიურად სწავლობდეს ხალხის ეკონომიურს ყოფა-ცხოვრებას. სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო, რომელიც ცდილობს ეკონომიურის მხრით წარმატების და წინ-მსვლელობის გზაზედ დააყენოს რუსეთი, განაპირებულ ქვეყნებში იმ გვარადვე აპირობს ხალხის ცხოვრების შესწავლას, კერძო მოხელეების შემწეობით, როგორც ერობაა შუა-რუსეთში. ამ გვარად შეისწავლეს ჩვენი ამიერ-კავკასია და ახლა დაუპირებიათ ამ გვარადვე ციმბირის ეკონომიურ ყოფა-ცხოვრების შესწავლა, რომლისათვისაც 66,000 მან. გადაუდვია ზემოხსენებულს სამინისტროს. ამის გამო გაზ. „Русскія Вѣдомости“ ამბობს:

> არ შეიძლება, რომ სიხარულით არ მივეგებნეთ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ ამ გონივრულ საქმის ხელის მოკიდებას და იმედიცა გვაქვს, რომ საქმე კარგად წავა; მხოლოდ ის-კი არ უნდა დავივიწყოთ, რომ პეტერბურგის კაბინეთში შედგენილის პროგრამით, რაც უნდა ვრცელი და კარგი იყოს ეს პროგრამა, შეუძლებელია კაცმა ყოველისავე მხრით შეისწავლოს და გამოიკვლიოს ციმბირის ეკონომიური ყოფა-ცხოვრება.

ჩვენის აზრით, თუ გინდა პროგრამა ციმბირშიაც შედგენილიყო. მაინც კიდევ ძნელია ერთბაშად შესწავლა რიგიანად და საფუძვლიანად რომელისამე ერის ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებისა, რომელიც ისეთი რთული საგანია, რომ ძრიელ ხანგრძლივსა და სისტემატიურს შრომასა და სწავლასა თხოულობს.

**

ავსტრია და გერმანია ყოველ ზაფხულს მეგობრდებიან, თუმცა ჯერ ნამდვილი მეგობრული კავშირი არ დამკვიდრებულა ამ ორთა სახელმწიფოთა შორის. იმპერატორი ვილჰელმი უწინდებურად წელსაც ჰნახავს და შეხვდება ავსტრიის ხელმწიფე ფრანც იოსებს გაშტეინის მადნეულ წყლებზედ. ამ ორთა ხელმწიფეთა ერთად შეყრაზედ ყოველ ზაფხულს გერმანიის პუბლიცისტები ფრთებს შეისხამენ ხოლმე და კბილებს უკრაჭუნებენ იმათ, ვისაც ევროპის მშვიდობიანობის დარღვევა სწადიანთ, თითქო თითონ გერმანია-კი ამ სახელმწიფოთა რიცხვში არ ერიოს. დიდს მნიშვნელობას აძლევენ ეს ორივე სახელმწიფონი თავიანთს კავშირსაო, ამბობს გაზეთი «Новости»:

> იმპერატორების ერთი-ერთმანეთის ნახვას, რომელიც ყოველ წელიწადსა ხდება, გერმანიაში და ავსტრიაში სთვლიან იმის ნიშნად, რომ ამის გამო ორივე სახელმწიფოს ინტერესები და აგრეთვე ევროპის მშვიდობიანობა დაცულ იქმნებაო. დიდი ხანია რაც ორივე სახელმწიფონი დარწმუნებულნი არიან, რომ ავსტრი-გერმანიის კავშირი გააძრიელებს შუა-ევროპის სახელმწიფოებს საზოგადო მტერთან საბრძოლველად და დასამარცხებლადაო. ვიდრე ეს კავშირი მკვიდრია, მოწინააღმდეგე სახელმწიფოთ იმდენი ძლიერება არ ექნებათ, რომ გაბედონ და მშვიდობიანობა დაარღვიონო.

მშვენიერი ოცნებაა გერმანიისა და ავსტრიისათვის...

## პარიჟი

საერო დღესასწაულის მოლოდინის დროს.

თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც ფრანგები ბასტილიის აღების დღეს, 14 მკათათვეს, დღესასწაულობენ, მაგრამ აღდგომაზე არა ნაკლებ გულის მგზნებით ელოდებიან ხოლმე ამ დღესასწაულს.

წელს უფრო მოუთმენლად ელოდებოდნენ საზოგადოდ ფრანგები და განსაკუთრებით პარიჟელები ამ დღესასწაულს; წინადვე იცოდნენ, რომ 14 მკათათვე შეუმჩნეველად არ ჩაივლიდა, რადგანაც ბულანჟეს სამინისტროდგან გადაყენებამ და ახალის სამინისტროს შედგენამ, რომელსაც ბ-ნ როშფორი „გერმანელს სამინისტროს“ ეძახის, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია როგორც რადიკალების მწერლობაში, ისე ხალხშიაც.

ბ-ნ როშფორის ჟურნალი „Intransigeant“-ი და მასთან რამდენიმე სარადიკალო ჟურნალები 14 მკათათვის მანიფესტაციაზე ისე ლაპარაკობდნენ, როგორც რაღაც აუცილებლად მოსახდენზე და ხალხს ეს მოლოდინი აღელვებდა და მოუთმენლობა სწვავდა.

8 მკათათვე

გარემოებამ შეუწყო პარიჟელების მოუთმენლობას ხელი და მისცა საშუალება ბულანჟესადმი სიყვარული უფრო ადრე გამოეცხადებინა, ვიდრე 14 მკათათვეს: სამინისტროდგან გადადგომის შემდეგ ბ-ნ ბულანჟემ დასასვენებლად ორი თთვე სთხოვა ახალს სამხედრო მინისტრს ბ-ნ ფერრონს; ბ-ნმა ფერრონმა უარი არ უთხრა თავის წინანდელს უფროსს და ეხლა ხელ-ქვეითს, მაგრამ რა-კი რადიკალების ჟურნალებმა 14 მკათათვის მანიფესტაციაზე ჯიუტად დაიწყეს ლაპარაკი, მაშინ სამინისტრომ ბ-ნ ბულანჟე სასწრაფოდ დანიშნა მე-13 კორპუსის უფროსად კლერმონ-ფერრანში და ბულანჟეც დაუყოვნებლივ გაეშურა ახალის თანამდებობის ჩასაბარებლად.

ბ-ნ ბულანჟემ პარიჟიდგან წასვლის დღედ 8 მკათათვე დანიშნა. ბულანჟეს მომხრე ჟურნალები „Intransigeant“-ის მეთაურობით ალაპარაკდნენ და თავის მკითხველებს ავალებდნენ, ბულანჟეს სიყვარული და პატივის-ცემა და სამინისტროს წინააღმდეგობა გამოეცხადებინათ გენერალის წასვლის დღეს.

დადგა 8 მკათათვეც; ბ-ნ ბულანჟე საღამოს 7 საათის მატარებლით უნდა წასულიყო. 4 საათიდგან ომნიბუსებზე და ტრამვაიებზე ადგის შოვნა შეუძლებელი იყო: ყველანი ლიონის რკინის-გზის სადგურისაკენ მიეშურებოდნენ. მეც ხალხში გავერიე და გავსწიე ლიონის მოედნისაკენ; მოედანი გაჭედილი იყო ხალხით, რომელიც ერთხმად „გაუმარჯოს ბულანჟესა!“ ყვიროდა, და ამავე დროს პატრიოტულს სიმღერებს იმღეროდა; აქვე ჰყიდდნენ ყვავილს ხუთს ფრანკიანებს, რომლებზედაც ბულანჟეს სურათი იყო გამოხატული.

უცებ გაისმა ხმა „მოდის!-ო“; ხალხი აღელდა; ყველა ბ-ნ ბულანჟეს ნახვას ცდილობდა; ეტლის ცხენის გამოხსნა მოინდომეს; გენერალმა ვაი-ვაგლახით მიაღწია კარამდის; ამ დროს ხალხი მიაწყდა წინადვე გამაგრებულს ბარიერებს, დაამტვრია იგინი და გენერალთან ერთად შევიდა სადგურში; შესვლის უმალვე ხალხი წასასვლელ მატარებლის ვაგონების სახურავებზე მოექცა; ამით ვითომ ბ-ნ ბულანჟეს პარიჟიდგან წასვლა უნდა შეეჩერებინათ და მართლაც თავისი გაიტანეს: 7 საათზე წასასვლელი მატარებელი 9 საათზე ისევ გაჩერებული იყო; ამ ხანში ხალხი შეუწყვეტლად „გაუმარჯოს ბულანჟეს!“, „გაუმარჯოს საფრანგეთს!“, „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“, „გაუმარჯოს როშფორს!“-ო ჰყვიროდა.

7 საათზე და ნახევარზე ბ-ნ ბულანჟეს ვაგონს პატრიოტების ლიგის საპატიო თავ-მჯდომარე ბ-ნი პოლ დერულედი მიუახლოვდა და გენერალს პარიჟის პატრიოტების მხრით მშვენიერი მედალიონი მიართვა; ხალხმა, რა დაინახა დერულედი, სიტყვა მოსთხოვა; ბ-ნ დერულედმა მადლობა გადაუხადა პატივისცემისათვის და უთხრა, რომ ერმა საკმაოდ დაათვალა ის გენერალი, [illegible] საფრანგეთის დროშა თამამად და ღირსეულად ეჭირა და უჭირავსო, და დასასრულ ურჩია ამ მანიფესტაციის დასრულება.

ამ სიტყვებზე ხალხმა ქუდი მოიხადა და აღტაცებით დაიწყო ყვირილი: „გაუმარჯოს საფრანგეთს!“, „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“, „გაუმარჯოს ბულანჟეს!-ო.“

ეს არეულობა 9 საათამდის გაგრძელდა. 9 საათზე ბ-ნი ბულანჟე, რომელსაც სამოქალაქო ტანისამოსი ეცვა, თავის ვაგონიდგან გამოვიდა და პატარა ხანს უკან, ისე რომ ხალხმა ვერ გაიგო, ლოკომოტივით წავიდა; ლოკომოტივს მთელი მატარებელიც გაჰყვა, მაგრამ ვიდრე მატარებელი წავიდოდა, ბ-ნი ბულანჟეს ვაგონი ყვავილებით მორთეს. გზაზე, როგორც ჟურნალები ამბობენ, ყველა ქალაქებში ხალხს გენერალი „გაუმარჯოს ბულანჟე!“-ს ძახილით გაუცილებიათ. პარიჟელის მანიფესტანტების რიცხვი 100,000 მეტი იქნებოდა.

(შემდეგი იქნება

## უცხოეთი

ბოლგარია. ვენიდამ დეპეშით იუწყებიან: ოსმალეთის ელჩმა სააღუსტ-თვეში რჩევა მისცა პრინც კობურგისას, რომ არ აჩქარდეს და გაუფრთხილებლად არ იკისროს მთავრობა. ფაშას უთქვამს, რომ საჭიროა პრინცმა იმ დროს მოუცადოს, როცა საქმეთა გარემოება ნებას მისცემს დაუბრკოლებლივ დაჯდეს ბოლგარიის სამთავრო ტახტზეო. ოსმალეთის ელჩი და გრაფ კალნოკი იმ აზრისანი არიან, რომ პრინცი წავიდეს რუსეთში და მიართვას იმპერატორს გერმანიის იმპერატორის წერილი, თუ რომ ვილჰელმმა იკისრა ამ საქმეში შუამავლობაო.

ბოლგარიის კრება ძალიან დაუფიქრებია კობურგის გაუბედაობას და იმ აზრზე გაჩერებულა, რომ პრინცი კობურგისა სრულიად ვერ შეჰფერის ბოლგარიის საქმეთა მსვლელობას. პრინცმა ბოლგარიის დეპუტატებს აღუთქვა, რომ ბოლგარიაში საჩქაროდ ჩამოვალო, მაგრამ კალნოკისთან საუბრის შემდეგ დარწმუნდა, რომ აჩქარება საქმის წაგებას მოასწავებს. ამბობენ, ვითომც ავსტრო-ვენგრიის უცხო საქმეთა მინისტრმა უთხრა პრინცს: ევროპის საქმეთა ვითარება ისე გამწვავებულია, რომ ავსტრიამ დიდის სიფრთხილით უნდა იმოქმედოს და მხედველობაში უნდა იქონიოს გერმანიის პოლიტიკაო.

გაზეთ „Soleil“-ს სწერენ ლონდონიდამ, ვითომ სახელმწიფოებმა უკვე პასუხი გასცეს ოსმალეთს იმ ცირკულიარზე, რომელიც კობურგის პრინცის არჩევას შეეხებოდა: რუსეთმა გადაჭრით უარჰყო ბოლგარიის კრების გადაწყვეტილება; გერმანიამ და იტალიამ გამოაცხადეს, რომ ისინი დასთანხმდებიან იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ბერლინის ტრაქტატზე იქმნება დამყარებულიო.

გაზეთ „Daily Chronicle“-ს დეპეშით აცნობებს კორრესპონდენტი თავის საუბარს ერთს გამოჩენილს პირთან. ამ საუბარმა დამარწმუნაო, იწერება კორრესპონდენტი, რომ კობურგის მთავრად არჩევის საქმე უკეთესად მიდისო. მოსაუბრემ მითხრა: პრინცი დარწმუნებულია, რომ ყველა სახელმწიფოთა თანხმობას მოიპოვებს, გარდა რუსეთისაო. გარდა ინგლისისა, ოსმალეთისა, გერმანიისა, ავსტრიისა და იტალიისა, საფრანგეთიც დასთანხმდება ჩემს მთავრად ყოფნაზეო. უეჭველია, რომ პრინცმა წინაწინვე იცოდა, რომ ავსტრია და გერმანია მისი მომხრენი იქმნებოდნენ; უამისოდ იგი ბოლგარებთან საქმეს არ დაიჭერდა. საუბარი იმ გამოჩენილმა პირმა იმით დაასრულა, რომ სთქვა: იმ წამსვე, რა წამსაც სახელმწიფოები, რუსეთის გარდა, დასთანხმდებიან კობურგის არჩევაზე, პრინცი წავა ბოლგარიაში და დაიწყებს მთავრობას, თუმცა აღუთქვამს ბერლინის ტრაქტატის ხელ-შეუხებლობაო.

## წვრილი ამბები

— გამოუძიებიათ, უცდიათ და დარწმუნებულან, რომ რკინის ნალი ცხენისა ხაზოგადოდ უფრო მაგარია სხვა რკინეულობაზედ. ნალს სიმაგრეს აძლევს თურმე ჯერ ისა, რომ ცხენის ნალი ყოველთვის ქვასა ხვდება და ამას გარდა ცხენის ფეხის სითბოც ამაგრებსო. ძველ ნალთა ამ დიდს სიმაგრეზედ ყურადღება მიუქცევიათ ოსტატ ჩინეთელებს, რომელნიც ამ ჟამად ხანჯალ-ხმლის პირებსა და დანებს ამისთანა რკინისაგან აკეთებენ თურმე.

— გამოჩენილს დრამების მწერალს დუმა-შვილს და საფრანგეთის თანამედროვე ნიჭიერს რომანების მწერალს ემილ ზოლას ნება დაურთვიათ თავის ნაწარმოების ერთად შეერთებისა. ინგლისის მწერალ-ქალს ქ-ნს კენნიონს ამ ორივ მწერალთა ნება-დართვით განუზრახავს ემილ ზოლას რომან „Nana“-დგანა („ნანა“) და ალექსანდრე დუმა-შვილის „La dame aux camélias“-დგან პიესის შედგენა. ამ ახალ შეხანხლულს პიესას გმირი-ქალის სახელი ერქმევა თურმე: „Nina“ („ნინა“).

— ელექტრონის სინათლეს მიუღწევია..: მონასტრებამდეც-კი: მიუნჰენის კათოლიკე საქალებო მონასტერში ამ ჟამად ნავთისა და გაზის მაგიერ ელექტრონს ახმარებენ თურმე.

— ხრისტეფორე კოლუმბის ძვლებს ამ ცოტა ხანში გადაიტანენ ამ გამოჩენილის კაცის სამშობლო ქალაქს გენუაში დასამარხავად. ეს ძვლები აქამდე ბრაზილიაში იყო შენახული და მათი გადატანა პაპის წარმომადგენელს მონსინიორ კოსიოსა აქვს მინდობილი. კოსიო 2 ივლისს ბრაზილიიდგან გემით „Mateo-Brazza“-თი წამოსულა და თან წამოუღია კუბოთი კოლუმბის ძვლები. ამ ამბის გამო გენუაში დიდს დღესასწაულს აპირობენ თურმე.

— ბერძნული გაზეთი „Parnasses“-ი ამბობს, რომ ერთს ფილიპპოპოლში მცხოვრებელს ბერძენს, გვარად სიანკუსს, სხვა ძველთაგან დანარჩენ ქაღალდებთა შორის აღმოსჩენია არისტოტელის თხზულებანი, 180 თაბახზედ ხელით ნაწერი. ამ ხელ-ნაწერში

მოთავსებულია ოთხი წიგნი არისტოტელის თხზულებიდგან: ერთი „ცის გამოისობით“, ორი „გაჩენასა და გაქრობაზე“ და სამი წიგნი „ადამიანის სულზე“. ეს წიგნები გადაწერილი უნდა იყოს XIII და XIV საუკუნოებში და როგორც ნაწერიდგანა სჩანს, რომელსამე ბერ მონაზონს უნდა ეკუთვნოდეს. ეს თხზულებანი არისტოტელისა უფრო ვრცელია თურმე სხვებზედ და ადგილადაც იკითხება.

— ტრიენტის კათოლიკეთ გამოუცხადებიათ, რომ ამდენსა-და-ამდენს საჩუქარს მივცემთ, ვინც ყველაზედ საუკეთესო საგალობელს დასწერს პაპის პატივ-საცემლად, საჩუქარი რამდენიმე ყოფილა. პირველი და ყველაზედ უფრო დიდი საჩუქარი მიუციათ ახალგაზდა ქალის ლუიზა ანცოლეტტისათვის.

# დეპეშა

15 ივლისი

ნიჟნი-ნოვგოროდი. დღეს, გადაიხადეს თუ არა ქამის წირვა ახალს საბაზრო სობოროში და პარაკლისი მაკარიის სამლოცველოში გუბერნიის უფროსისა, სხვა მოსამსახურე პირთა და იარმუკისა და ქალაქის წარმომადგენელთა თანადასწრებით, ამართეს იალქნები ნიჟნი-ნოვგოროდის იარმუკისა.

ბერლინი. ვენიდგან მიღებულ კერძო დეპეშებიდამ სჩანს, რომ ოსმალეთი ამ ცოტა ხანში მიჰმართავს დიდ სახელმწიფოთა ბოლგარიის ტახტის შესახებ.

ლონდონი. ამბობენ, ვითომ შემოდგომას უნდა განაახლონ კაბინეტი, რომლის მეთაური იქმნება მარკიზ გარტინქტონი და მარკიზ სალიუსბერი კი დარჩება უცხო საქმეთა მინისტრად და მიიღებს ლორდების პალატის მედერის თანამდებობასაო.

სტამბოლი. ოსმალეთმა დაითხოვა ევროპის-ოსმალეთის ზურგის ჯარი.

ვენა. „Neue Freie Presse“-ს ატყობინებენ დეპეშით, რომ კალჩევი წავიდა სტამბოლს, რათა ოსმალეთს გადაწყვეტილი პასუხი ათქმევინოს კობურგის პრინცის ამორჩევის საქმის თაობაზედ. ზოგიერთ სადიპლომატო აგენტებმა გამოუცხადეს ოსმალეთის მთავრობას, რომ შეუძლებელი საქმეა კობურგის გამთავრება ბოლგარიაშიო. როგორც ისმის, ბოლგარიის დიდი საერო კრება ხელ-ახლად თავს მოიყრის აგვისტოშიო.

პეტერბურგის ბირჟა, 14-ს ივლისს
ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო. | — › | — › | 9 37 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | 182 |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — › | — › | 1 30 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — › | — › | 259½ |
| — მეორისა . . . . . | — › | — › | 249½ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — › | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — › | — › | — › |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . . | — › | — › | — › |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1887 წლის ზედ-ნა დები—14.

მკათათვე 31 დღით არის

**17 დღე** პარასკევი. წმ. ქალწ.-მოწ. მარინასი და ღირს. ლაზარესი. კათოლ. ალექსისა და მარცელინასი. სომეხ. ნახატონაქი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—51, ჩადის 7—28. მთვარე 10 დღისაა.

**18 დღე** შაბათი. მოწ. იაკინთესი და ღირს. იოანნესი. კათოლ. სვიმონისა და კამილასი. სომეხ. მოციქ. თადეოზისა და სანდუხტა ქალწულისა. მუსულ. მე-10 რიცხვი ზილ-ყაადეს თთვისა, 1304 ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—52, ჩადის 7—20. მთვარე 11 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 ივლისიდამ 1 აგვისტომდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 3 | › |
| › 2 › | 2½ | |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | 3½ | › |
| › › 3 › | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | 5 | › |
| 1-ლის ხარისხისა . . | 4 | › |
| მე-2 ხარისხისა . . | › | › |
| მე-3 — . . . | 7 | › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 6 | › |
| › 2 › | 13 | › |
| სუკი. . . . | 8 | › |
| ცხვრის ხორცი . . . | › | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | › | › |
| › 2 › | › | › |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს კვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავი საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიი ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების საავენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამ. | გადის საათ. | გადის წამ. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამ. | გადის საათ. | გადის წამ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ი ლ ი თ | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 8 | 49 | **ბათუმი** . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი. | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები. . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი. . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| **გორი** . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 8 | 12 | 11 | **სამტრედია**. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი. | 12 | 13 | 12 | 16 |
| **ხაშური** . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 3 | **ყვირილა** . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| **ყვირილა**. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| **რიონი**. . . | 6 | 29 | 6 | 44 | **ხაშური** . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| **სამტრედია** . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 5 | 8 | 7 | **გორი** . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი. . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა. . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| **ბათუმი** . . | 11 | 13 | — | — | **ტფილისი** . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

**რიონიდამ** ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| სტანციები | საათ. | წამ. | საათ. | წამ. | სტანციები | საათ. | წამ. | საათ. | წამ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ღ ი ს ი თ | | | | | ღ ა მ ი თ | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | **ხაშური** . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | **გორი** . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| **გორი** . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი. . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| **ხაშური** . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | **ტფილისი** . | 8 | 24 | — | — |

## კერძო განცხადებანი

ეგზამენები და განმეორებითი ეგზამენები ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში დანიშნული არის 26-ს, 27-ს და 28-ს აგვისტოს. ვისაც ამ სასწავლებელში შესვლა უნდა, უნდა ჰქონდეთ გავლილი პირველ დასაწყისი სასწავლებელი და უნდა იყვნენ არა ნაკლებ ცამეტის წლისა და ნახევრისა და ჯან-საღნი. არზები შეგირდების მიღებაზედ უნდა შემოიტანონ ამ სასწავლებლის კანცელარიაში პირველ აგვისტოდგან 15-მდინ, ყოველ-დღე, დილის 9 საათიდგან 11 საათამდე.
(3—1)

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი აცხადებს, რომ 1887 წ. ენკენისთვისათვის პირველ განყოფილებაში ოც-და-თვრამეტი (38) ვაკანსია იქნება; მეორე, მესამე და მეოთხე განყოფილებებში ვაკანსიები სულ არ არის. აგრეთვე არ არის ვაკანსიები პროგიმნაზიის პირველსა და მეორე კლასებში. პროგიმნაზიის მესამე კლასში იქნება ოთხი ვაკანსია და მეოთხეში არა ნაკლებ ოცის ვაკანსიისა. პირველ განყოფილებაში შემსვლელთ ეგზამენი არ მოეთხოვებათ. თხოვნა უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე 17 აგვისტოდამ 24 აგვისტომდე და ამასთანავე უნდა წარმოადგინონ წლოვანობის და აზნაურობის მოწმობანი. თუ აზნაურობის მოწმობანი არ ექნებათ, ბანკის მოწმობა (კვიტანცია) მაინც უნდა იქონიონ, რომ ყმაწვილის მშობელი (დედა, ან მამა) ბანკის დამფუძნებელთა წევრთა შორის ითვლება.
სწავლა დაიწყება პირველს სექტემბერს.
სპირიდონ ჟორჟიკია
(6—3)

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში: გრ. ჩარკვიანისა და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, გორში—თვით ავტორთან და ქუთაისში—ჭილაძის მაღაზიაში

ორი მოთხრობა

ს. მგალობლიშვილისა

I მცვრევაზე

II დიდ ზალაში

ფასი ორი შაური.

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ქილილა და დამანა. ვახტანგ მეე-ქვსისა . . . . . . . . | 3 | › |
| ვისრამიანი, სარგის თმოგველისა. | 1 | 50 |
| სიბრძნე-სიცრუვე, საბა-სულხან ორბელიანისა . . . . . | › | 50 |
| დავითიანი, დავით გურამიშვილისა . . . . . . . . | 1 | › |
| თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა . . . . . | 1 | › |
| ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა . . . . . . . | › | 50 |
| ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა. | › | 30 |
| თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა. | › | 40 |
| მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა . | › | 30 |
| დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა . . . . . . . . | › | 20 |
| რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. . . | › | 10 |
| სურამის ციხე, ჭონქაძისა . . | › | 20 |
| ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. . . . | › | 30 |
| თხზულებანი, რაფაელ ერისთვისა. | 1 | › |
| ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა. | › | 20 |
| ქართული გამოცანები, რაფაელ ერისთვისა. . . . . . | › | 5 |
| იგავ-არაკი, რაფაელ ერისთვისა. | › | 25 |
| განკიცხული, მოჩხუბარიძისა . | › | 50 |
| ციკო, მისივე. . . . , | › | 30 |
| პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა . . . . . | › | 10 |
| მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა . . . . . . . | › | 10 |
| ბაგრატ მეოთხე, მისივე. . . | › | 20 |
| მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე. . . . . . . | › | 10 |
| ვახტანგ მეექვსე, მისივე. . . | › | 1 |
| დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. . . . | › | 5 |
| არითმეტიკა, დიდებულიძისა. . | › | 50 |
| არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. . . . | › | 1 |
| წითელი ფარანი, თარგმანი. . | › | 15 |
| ზაფხული. ჯუღელის რედაქციით. | › | 2 |
| ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა . . . . . . . . | › | 10 |
| ამბები ყრმათათვის, ან. ჯუღელისა | › | 5 |
| არსენას ლექსი . . . . . | › | 55 |
| ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგ. მახი. . . . . . . . | › | 15 |
| ქართული ანდაზები. . . . | › | 10 |
| თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭიჭინაძისა . . . . . . . | › | 4 |
| ირაკლი მეორის გლოვა . . | › | 5 |
| ალი, ნ. ლომაურისა. . , . | › | 30 |
| დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა. . . . . | › | 20 |
| ალმანახი, გ. თუმანიშვილისა. . | › | 40 |
| სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა . . . . . . | › | 5 |
| მოძღვარი, ალ. ყაზბეგისა. . | 1 | › |
| თხზულებანი, მისივე ნაწ. I. . | › | 60 |
| რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა . . . . , | › | 30 |

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში ახალი სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელო წიგნი, მიხეილ ნასიძისა:

ქართველი მწერლები
II
დავით გურამიშვილი

ფასი 20 კაპ.

ეს წიგნი შეიცავს წინასიტყვაობა დავით გურამიშვილის ბიოგრაფიას და 14 საუკეთესო ლექსს, ამოღებულს «დავითიანიდამ». ყოველივე ძნელი სიტყვა სხოლიოში განმარტებულია და ისტორიულს ლექსებსაც აქვს საჭირო ისტორიული შენიშვნები. (10—10)

Дозв. цен. Тиф. 15 іюля, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე